



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
BODY



გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 59

12 07 2017 წელი

მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 20 ივნისის

N03/7158 წერილის განხილვის შესახებ

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 12 ივლისის სხდომის N12 ოქმის მე-13 საკითხის შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 20 ივნისის N03/7158 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-4 მუხლის მე-2 ნაწილისა და „დასახლებათა შექმნის და გაუქმების, დასახლებისათვის შესაბამისი კატეგორიის მინიჭებისა და შეცვლის, აგრეთვე დასახლების ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის N307 დადგენილების მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე

1. მოწონებულ იქნეს მარნეულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ტერიტორიაზე, შულავერის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული დასახლებისათვის სოფლის სტატუსის მინიჭებისა და მისთვის სახელწოდების „ივერიონი“-ს დარქმევის შესახებ.

2. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს შესაბამისი ქმედების განხორციელება განკარგულების პირველი პუნქტის აღსასრულებლად.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა N4), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველ მოადგილეს ზაურ ტაბატაძეს.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაბი აბდულაევი